

## პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

### 1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

**ძირითადი თემატიკა:**

**ლექსიკოლოგიური ასპექტი:** სიტყვებს აქვთ სხვადასხვა მნიშვნელობა. ისინი აღნიშნავენ საგნებს, თვისებებს, მოქმედებას და სხვ.; შეიძლება ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს; სიტყვის შერჩევა შესაძლებელია (და აუცილებელი) შინაარსის მიხედვით, რათა აზრი უკეთ გამოიხატოს.

**გრამატიკული ასპექტი:** ხმოვანი და თანხმოვანი; სიტყვის ბგერითი ანალიზი და სინთეზი. სიტყვის ფორმოზრივი ანალიზის საწყისი ჩვევების გამომუშავება; კავშირი და განსხვავება დონეებს შორის: **სიტყვა - წინადადება - ტექსტი**; მარტივი წინადადების აგება და ძირითადი სასვენი ნიშნების გამოყენება; წარმოთქმული წინადადების ინტონაციის გამოხატვა წერისას და დაწერილისა - პირიქით, წარმოთქმისას; სიტყვათა შინაარსობრივი კავშირი წინადადებაში; წინადადება - დასრულებული აზრი; მოცემული სიტყვებით წინადადების კონსტრუირება; თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები.

### 2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

**ძირითადი თემატიკა:** საუბრის თემა, ადრესანტი და ადრესატი; ეტიკეტური დიალოგები. მოსმენისა და კითხვის სტრატეგიები (თემა, სათაური და საკვანძო სიტყვები). შესწავლითი კითხვა (სასწავლო ტექსტის კითხვის სტრატეგიები: სათაურისა და აბზაცების მიხედვით კითხვების დასმა, საკვანძო სიტყვების გამოყოფა); ტექსტის კორექტირების მარტივი ხერხები (ჩამატება, ამოღება). ტექსტი, როგორც თემატური და აზრობრივი ერთიანობა. სათაურის ტიპები. ტექსტის სტრუქტურულ-აზრობრივი ნაწილები: დასაწყისი, ძირითადი ნაწილი, დასასრული. აღწერა და მსჯელობა. მიზნობრივი და ზეპირი კომუნიკაციის მარტივი ტექსტები (წერილი, დიალოგი, განცხადება, გამაფრთხილებელი წარწერები).

### 3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

**ძირითადი თემატიკა:** ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები თანატოლებზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, სიმართლეზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე.

**საკითხავი მასალა:** ლიტერატურული და ხალხური ზღაპრები, იგავ-არაკები; მცირე ფოლკლორული ჟანრები: ენის გასატეხები, გამოცანები, ანდაზები, ლექსები. ქართული და უცხოური საბავშვო კლასიკა, მოთხრობები, კომიქსები, ქართული საბავშვო ლექსები.